

## ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპი ლიმინალობის თეორიის კონტექსტში

### მაკა ელბაჯიძე

სტატიის მიზანია ვეფხისტყაოსნის როგორც რაინდული რომანის ანალიზი ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის კონტექსტში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვეფხისტყაოსნის ქრონოტოპზე დაკვირვება, რომელშიც მკაფიოდ იკვეთება ლიმინალურობისთვის დამახასიათებელი ალტერნატიულობა (რეალური/ავანტიურული დრო; „საკუთარი“, მოწესრიგებული სივრცე/ „სხვისი“, ქაოსური სივრცე). როგორც ვეფხისტყაოსანში, ისე ევროპული რაინდული რომანების აგტორებთან, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, დრო-სივრცული პარადიგმა მჭიდროდ უკავშირდება ცალკეულ პერსონაჟს და მის ქცევასა და ხასიათზეა დამოკიდებული. ამავე პრობლემის განუყოფელი წარილია პერსონაჟთა მხატვრული სახეების კვლევა მათი ხასიათის ფიქიცურ-ემოციური კუთხით წარმოჩენის თვალსაზრისით. ხეტიალის, ძიების მოტივი, მჭიდროდ გადაჯაჭვული ველად გაჭრის კონვენციასთან, პერსონაჟს მოაქცევს სამყაროებს შორის ნაპრალში, „აქ“ და „იქ“ არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს შორის. პერსონაჟთა ინდივიდუალიზაცია სწორედ ამ „მისტიკური მოგზაურობის“, „ტრანზიტულობის“, ალტერნატიულ დრო-სივრცეთა დიჭოტომიის ფონზე იკვეთება.

**საკვანძო სიტყვები:** შუა საუკუნეების რომანი; ვეფხისტყაოსანი, ანთროპოლოგია, ლიმინალობის თეორია, ქრონოტოპი.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ფრანგული პოზიტიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი არნოლდ ვან გენები წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში მუდმივად მიმდინარე ცვლილებებზე დაკვირვებამ<sup>1</sup> მიიღვანა ე.წ. სოციალური ტრანზიტულობის აღმოჩენამდე, რომელსაც *Rites de Passage* (ქართულად გადანაცვლების რიტუალები) უწოდა. გენების თეორიის თანახმად, ყოველ კონკრეტულ სისტემაში არსებული ენერგია ადრე თუ გვიან იკარგება, მაგრამ დროის გარკვეულ მონაკვეთში ხელახლა აღდგება და განახლდება. შესაბამისად, გადაადგილება ანუ ტრანზიტულობა, იგივე *Rites de Passage*, თანამდევია ნებისმიერი ტიპის ცვალებადობისა, იქნება ეს ტერიტორიული, სოციალური, ასაკობრივი თუ სხვა. ვან გენებმა *Rites de Passage*-ის სტრუქტურის განსაზღვრის მიზნით შემოიტანა ტერმინები „პრელიმინალური“, და „პოსტ-ლიმინალური“<sup>2</sup>, რომელთაგან პირველი გულისხმობს

1 ეს ცვლილებები კი, როგორც წესი, ნებისმიერი ეპოქისა თუ ხალხების კულტურისთვის დამახასიათებელი ტრანზიტულობის შედეგია და მზა ფორმულათა სახით არის წარმოდგენილი ამ რიტუალებში.

2 ტერმინი ლიმინალური მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *limen* (ზღურბლი), რომელიც

წინარე სამყაროდან გამოყოფა-იზოლაციას (ტრანზიტულობის პერიოდი), მეორე კი – ახალ სამყაროში შესვლასა და მასთან შერწყმას [კარსონი 1997: 1-2]. შესაბამისად, მთელი ეს პროცესი სამი ფაზით ხასიათდება: 1. გამოცალკევება, გამოყოფა, ანუ სეპარაცია; 2. მარგინალობა, ანუ ლიმინალობა; 3. გაერთიანება, ანუ ინკორპორაცია. პირველი გულისხმობს ინდივიდის იზოლირებას ფიქსირებული სოციალური ან კულტურული სტრუქტურისგან, ანუ მის მოწყვეტას რეალური დორ-სივრცული გარემოდან; მეორე გამოხატავს მის გადანაცვლებას შუალედურ, ამბივალენტურ სოციალურ ზონაში, მესამე კი შეესატყვისება ინიციანტის დაპრუნებას საზოგადოებაში, ოღონდ განახლებული სოციალური სტატუსით [რატიანი 2005:162].

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ ვან გენების თეორია სტრუქტურა-ლისტური ანთროპოლოგიის სიბრტყეზე გადაიტანა ვიქტორ ტერნერმა, რომლის შეხედულებითაც, ლიმინალურობა გულისხმობს ტრანზიტულობას, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის არის გარდამავალი, შუალედური საფეხური ორ განსხვავებულ (სოციალური სტატუსით თუ სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, ფიზიკური, გონებრივი თუ სულიერი მდგომარეობით, ომით თუ მშვიდობით და ა.შ განსაზღვრულ) მდგომარეობას შორის. თუ ტრანზიტულობის პირველი ფაზა – სეპარაცია – არის გამოყოფა წინარე დროის, ადგილისა თუ მდგომარეობიდან კულტურულ ან სოციალურ კონტექსტში, ამ პროცესის ბოლო ფაზა – გაერთიანება – გულისხმობს დაპრუნებას სტაბილურ მდგომარეობაში, თუმცა ეს უკანასკნელი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალურად განსაზღვრულია, განსხვავდება წინარე ფაზისგან და წარმოადგენს მის ტრანსფორმირებულ, შეცვლილ მდგომარეობას. ლიმინალური ფაზა მოქცეულია საწყის, სეპარაციისა, და ფინალურ, გამაერთიანებელ ფაზებს შორის. დროის ეს მონაკვეთი, რომელსაც პირობითად „არც ის, არც ეს“ დრო შეიძლება ეწოდოს, ბუნდოვანია და გაურკვეველი. შესაბამისად, ინდივიდზე (ე.წ. ლიმინალურ პერსონაზე, რომელიც გაივლის Rites de Passage-ს) წარმოდგენა გვექმნება სახელისა და მთელ რიგ სიმბოლოთა მეშვეობით [ტერნერი 1967:97].

ბოლოდროობინდელმა გამოკვლევებმა ცხადეო, რომ ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია შესაძლოა მიესადავოს ლიტერატურულ მოდელებსაც. ირმა რატიანის მოსაზრებით (ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში სწორედ მას ეკუთვნის პირველი და ლიმინალობის თეორიის შეჯრებისა ესჭატოლოგიური ანტიუტოპიის მოდელთან [რატიანი:2005]), ლიტერატურა თავისი არსითა და დანიშნულებით ლიმინალური ფენომენია, რადგან ასრულებს გარდამავალი ფაზის ფუნქციას ძალით მართულ დესტრუქციულ რეალობასა და წარმოსახვით გამომუშავებულ მიღმიერ კოსმოსს შორის; ლიტერატურა ასრულებს სატრანზიტო ეტლის როლს ძალისმიერ, ქრონოლოგიურად მოწესრიგებულ, ტექნოლოგიურ-ბიუროკრატიული რეალობით შეზღუდულ სამყაროსა და რწმენით, თავისუ-

აღნიშნავს საზღვარს, მიზანს ორ იზოლირებულ, ერთმანეთს დაშორებულ ადგილს შორის [ტერნერი 1967: 93].

ფალი იდეებითა და ფანტაზიებით გაულენთილ სამყაროს შორის [რატიანი 2005: 166-167]. შესაბამისად, თუ რეალური სამყარო ფიზიკური სამყაროა, ობიექტური სისტემა, რომელსაც ახასიათებს სამგანზომილებიანი სივრცე, დრო, როგორც სივრცის მეოთხე კოორდინატი, და მოძრაობა, წარმოსახული სამყარო არაფიზიკური სამყაროა, სუბიექტური სისტემა, რომელიც უპირისპირდება ობიექტურ სისტემას მარადისობის ონტოლოგიურად ალტერნატიული პრინციპის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ლიტერატურა, როგორც ლიმინალური ფაზა, ანუ შუალედური დერეფანი რეალურსა და წარმოსახულს შორის, ცხადია, ზედმიწევნით აირეკლავს ამ წინააღმდეგობას. ლიტერატურის, როგორც ლიმინალური მოვლენის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ახალი რეალობის, ახალი სამყაროს, ახალი კოსმოსის შექმნა. ეს პროცესი გულისხმობს არა ოდენ თვალსაჩინო განსხვავების აქცენტირებას რეალურ და წარმოსახულ სამყაროებს შორის, არამედ იმ ლოგიკური და ონტოლოგიური წინააღმდეგობების წარმოჩენას, რომლებიც აუცილებლობასა და შესაძლებლობას შორის არსებობს. ამ თვალსაზრისით, წარმოსახული, ანუ გამონაგონი სამყარო ალიქმება არა როგორც „არარსებული ობიექტი“, არამედ როგორც ალტერნატიულ ონტოლოგიურ პრინციპებზე დაფუძნებული „არსებითობა“, რომელიც ტრანზიტული ფაზის მიღმა ყალიბდება. ტრანზიტულობის უმთავრეს და განმსაზღვრელ კატეგორიებს დროისა და სივრცის კატეგორიები წარმოადგენენ. რეალობისთვის ნიშანდობლივი დრო-სივრცული პარადიგმა არათუ ეწინააღმდეგება, არამედ იდეალურად შესატყვისება არსებულ სოციალურ სტრუქტურებს. გადანაცვლების რიტუალი წარმოადგენს სხვა, ოპოზიციური რელობისკენ გადებულ ხიდს, რომელიც დრო-სივრცულ განზომილებათა სრულიად სხვაგვარინტერპრეტაციას ითხოვს [რატიანი 2005:173-174].

ანტიუტოპიური რომანის, კერძოდ, ვლადიმერ ნაბოკოვისა და მიხეილ ჭავახიშვილის თხზულებათა მაგალითზე ირმა რატიანი აღნიშნავს, რომ ლიმინალური ფაზა წარმოადგენს შუალედურ, გარდამავალ, ამბივალენტურ, „არც აქეთ, არც იქეთ“ კონდიციას, რომლის წიაღშიც ინდივიდი ემიგრება ნორმატიულ კონტექსტს და, ტრანსფორმაციის გზით, აწარმოებს ოპოზიციურად საპირისპირო სამყაროს. შესაბამისად, ლიმინალური ფაზა სპეციალური, ერთგვარად საკრალური დრო-სივრცული ზონის დატვირთვას იძენს. „მისტიკური მოგზაურობის“, „ტრანზიტულობის“, „იდუმალი გადაადგილების“ პროცესი სიკვდილისა და დაბადების, დაცემისა და აღზევების სიმბოლიკას ეფუძნება. გადანაცვლების რიტუალი წარმოადგენს გადანაცვლებას არსებობის ერთი მოდელიდან მეორეში [რატიანი 2005:176-177].

ლიმინალობის თეორია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამედროვე ტექნოლოგია წარმატებით შეიძლება დაინერგოს რუსთველის ვეფხისტყაოსნის, როგორც შუასაუკუნეების რაინდული რომანის, კვლევისას. თუმცა, თუ მოდერნიზმის ეპოქის ტექსტებში ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორია ზედმიწევნითი სისრულით რეალიზდება, შუა საუკუნეების

ტექსტში ის სპეციფიკურ სახეს იძენს და განსხვავებული დასკვნებისკენ გვიბიძგებს.

ვიდრე კონკრეტულად ამ პრობლემის ძირითად ასპექტებს შევეხებოდეთ, უპრიანია, დავსვათ კითხვა: რა კუთხით უნდა წარიმართოს კვლევა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიური კონცეფციის მისადაგება გვიანდელი შუასაუკუნეების ძეგლთან ხელოვნური და ნაძალადევი არ აღმოჩნდეს.

დასმული საკითხის არსი შუა საუკუნეების რომანის ქრონოტოპის სპეციფიკურობას უკავშირდება, რომელიც მეტწილად განმსაზღვრელია უარის მხატვრულ-ესთეტიკური მხარისა. უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ავტორებს თავისებური დამოკიდებულება ჰქონდათ სივრცისა და დროის ცნებათა მიმართ. სივრცე მათთვის „ორიარუსოვან“ კატეგორიას (საჯაო/საიქიო) წარმოადგენდა. ვინაიდან უზენაეს რეალობად იმჯვეუნიური, ზეციური საუფლო იყო მიჩნეული, ამჯვეუნიური ცხოვრება კი – „დროებითად“ და „მოჩვენებითად“, ავტორის მიერ გარემომცველი სამყარო მხოლოდ „სიბრტყულად“ აღიქმებოდა და ამგვარადვე აღიწერებოდა [ჟირმუნსკი 1971: 34-35]. ბუნების პეიზაჟი და გმირის ირგვლივ არსებული რეალობა არასოდეს იყო ავტორისთვის თვითმიზნური აღწერის ობიექტი. ამიტომ სივრცულ მომენტზე მინიშნება ხდებოდა მოქმედების განვითარებასთან ერთად და ამა თუ იმ პერსონაჟთან ურთიერთკავშირში [ვერინცევი 1977:90].

სპეციფიკური იყო შუა საუკუნეების ავტორთა წარმოდგენა დროზეც, რომელიც ეყრდნობოდა სამ არსებით მომენტს – ადამიანთა მოდგმის დასაწყისს, კულმინაციასა და დასასრულს. შესაბამისად, დრო იყო ვექტორული, სწორხაზობრივი, დაუბრუნებელი და გამიჭრული მარადიულობის ცნებისაგან. ამ ბინარულობის საფუძველი, ცხადია, დრო-სივრცის ცნებებისადმი თეოლოგიურ მიდგომაში უნდა ვეძიოთ. ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, მარადიულობა განუზომელია დროის მონაკვეთებით. მარადიულობა ატრიბუტია ლერთისა, რომელიც დგას ყოველგვარ დროზე მალლა, უფრო სწორად, უსწრებს კიდეც დროს, როგორც მისი მიზეზი, დრო კი შექმნილია და მას აქვს დასაწყისი და დასასრული; შესაბამისად, დრო განსაზღვრავს და გარკვეულ ფარგლებში აქცევს კაცობრიობის ისტორიას. „ამჯვეუნიური დრო“ თანაფარდობაშია მარადიულობასთან, ვინაიდან გარკვეულ (გადამწყვეტ) მომენტში ის არღვევს თავის შემომსაზღვრელ ჩარჩოებს და მარადისობაში იჭრება [გურევიჩი 1984:95-100]. ასე მაგალითად, როდესაც ჰეშმარიტი ქრისტიანი ისწრაფვის, ამჯვეუნიურ („ბოროტ“) ყოფას განეშოროს და ზეციური სასუფევლის ნეტარებას ეზიაროს, მის ლტოლვაში, გარკვეულწილად, სწორედ „მიწიერი“ დროის ფარგლების გარღვევისა და მარადიულობასთან შერწყმის სურვილია ნაგულისხმევი.

ქრონოტოპის აღნიშნული მოდელი (ბინარული სივრცე/ბინარული დრო) სასულიერო მწერლობიდან უცვლელად გადმოვიდა რაინდულ რომანში, რომლის მხატვრულ-ესთეტიკურ ქსოვილს მეტწილად ავანტიურული მოტივი (იგივე მოგზაურობის რომანტიკა) განსაზღვრავს. სწორედ ეს ფაქტორი

გევლინება ამოსავლად შუა საუკუნეების რომანის ქრონოტოპის ლიმინალობის კონტექსტში კვლევისას.

### სივრცე და დრო როგორც ლიმინალური ფენომენი

უოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, წამოიჭრება კითხვა: რა ფსიქიკერ-ემოციური საფუძველი აქვს ლიმინალობის უმთავრეს მახასიათებელს, ტრანზიტულობას, ზოგადად, რაინდულ რომანში და კონკრეტულად გეფხისტყაოსნში და როგორ უკავშირდება ის შუა საუკუნეების რაინდული რომანის დრო-სივრცულ მოდელს?

როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, ამ რომანების სიუჟეტურ-კომპოზიციურ თავისებურებას ძიების („ძებნის“) მოტივი განსაზღვრავს; პროტაგონისტი დროდადრო არსებობის ერთი მოდელიდან მეორეში – ყოფითი სივრციდან ავანტიურულ სივრცეში – გადაინაცვლებს, რაც გამომხატველია იმ მხატვრულ-სტრუქტურული ოპოზიციისა, რომელიც არსებობს საკარი ცივილიზაციას (ციხე-სიმაგრე) და ე.წ. „ველურ ბუნებას“ (ციხე-სიმაგრის მიღმა არსებული სამყარო) შორის. აქედან გამომდინარე, რომანის სიუჟეტი ერთგვარი სივრცული დიქოტომიის – სასახლის კარი/ტუე – ფონზე ვითარდება, რომელთაგან პირველს პირობითად საკუთარი სივრცე შეიძლება ვუწოდოთ, მეორეს კი – სხვისი სივრცე<sup>3</sup>. რაინდულ რომანებში დიფერენციულია დროის ცნებაც, რადგან რეალური დროის პარალელურად აქ მოქმედებს ე.წ. ავანტიურული დრო, დაშლილი და დანაწევრებული დროის ცალკეულ მონაკვეთებად, რომლებიც, თავის მხრივ, თანადროული და არათანადროული მოვლენების განსავითარებლად, დაშორებული და ახლომდებარე სივრცეების დასაკავშირებლად არის გამოყენებული [ბახტინი 2000:80]. პროტაგონისტის უცხო, აბსტრაქტულ სამყაროში გადაადგილების შესაბამისად, დროც სხვადასხვაგვარი ასპექტით არის წარმოდგენილი: ის ხან სტატიკურია, ხან კი – დინამიკური. საერთო დრო არ არსებობს – ყოველი პერსონაჟისთვის ის განსხვავებულად გადის, უფრო კონკრეტულად კი, დროის აღქმა და მისი მდინარება პერსონაჟთა ცხოვრების წესზეა დამოკიდებული [გურევიჩი 1984:101]. აქედან გამომდინარე, ლიმინალურობისთვის დამახასიათებელი ალტერნატიულობა რაინდულ რომანში სწორედ იმ ბინარულ ოპოზიციაში მუღავნდება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, საკუთარ, მოწესრიგებულ სივრცესა და სხვის, ქაოსურ სივრცეს, მეორე მხრივ კი, რეალურსა და ე.წ. ავანტიურულ დროს შორის. ორი განსხვავებული სქემით ხორციელდება *Rites de Passage*, ანუ გადანაცვლების რიტუალიც. ის უკავშირდება:

ხეტიალი/ძიების მოტივს („მოხეტიალე რაინდი“ თავგადასავლის ძიებაში „უცხო“, „უცნობ“, გზას დაადგება, რომელიც მისი სოციუმის ალტერნატიულ სივრცეს წარმოადგენს);

3 დაწვრილებით იხ. [ელბაჟიძე 2009:105-116].

პერსონაჟის „გაჭრას“ (ამ შემთხვევაში აღმოსავლური კულტურიდან აღებული კონვენცია – სიშმაგე/სიხელე/ველად გაჭრა – პირდაპირ ესადაგება ქრონოტოპის ლიმინალურ მოდელს).

აღნიშნულ სქემას ეფუძნება ოპოზიციური დრო-სივრცული მოდელები, რომლებიც პერსონაჟთა ორ განსხვავებულ ტიპს – დინამიკურს, ანუ „მოხეტი-ალეს“ (ავთანდილი) და „სტატიკურს“ (ტარიელი) გულისხმობს. ე.წ. „მოხეტი-ალე პერსონაჟების“ დრო მყაცრად არის განსაზღვრული (ტექსტში ამ პერსონაჟებთან მიმართებით ყოველთვის ზუსტად არის მითითებული დროის კონკრეტული მონაკვეთი – მაგ., სამი წელი, შვიდი დღის სავალი მინდორი და ა.შ.) და ორგანიზებული. ამგვარ მაორგანიზებელ ფუნქციას რაინდული რომანების უმრავლესობაში გმირის წინაშე აღმართული ბარიერი – მოულოდნელად წამოჭრილი განსაცდელი (უმრავლეს შემთხვევაში ფათერაკი) – ასრულებს. ალსანიშნავია, რომ ეს განსაცდელი მხოლოდ ფიზიკური დაბრკოლების სახით როდი ჩნდება. უმრავლეს შემთხვევაში ის უკავშირდება შემთხვევის, ბედისწერის, ღმერთისა და განგების ჩარევას, ვინაიდან თავისთავად ეს დრო დგება მას შემდეგ, რაც ნორმალური, რეალური, კანონზომიერი დროის მდინარებაში ხდება უეცარი გარღვევა და სრულიად ბუნებრივი მოვლენები მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ სახეს იღებს [გახტინი 2000:80]. მეორე მხრივ, გმირის გარემომცველი სივრცე ისეთ უჩვეულო სამყაროდ გარდაიქმნება, რომელშიც ზებუნებრივიც კი ჩეგულებრივად და კანონზომიერად აღიქმება. პროტაგონისტი დროებით ეთიშება რეალობაში მიმდინარე მოვლენებს და დროებით მიღმა სამყაროში გადაინაცვლებს. ამიერიდან ახალ, ე.წ. ლიმინალურ რეალობაში პერსონაჟის მოქმედება ერთგვარი „გაორების“ ნიშნით არის აღბეჭდილი, რაც, ბუნებრივია, დროის „ახლებურ ათვლას“ უკავშირდება. გმირი უეცრად აღმოჩნდება გარკვეული არჩევანის წინაშე (არაბეთში დაბრუნება/გზის გაგრძელება; ფორანში ჩაჯდომა/ ჯუჯას შემოთავაზებაზე უარის თქმა), რომლის მოტივაციაც ძალზე წააგავს ზღაპრის სიუჟეტს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავანტიურულ დროში „შემთხვევა“ პერსონიფირებულია ან მეორეხარისხოვანი პერსონაჟების, ან კეთილი და ბოროტი ძალების (ფერიების, ჯადოქრების, ჯუჯების, დევების) სახეებში, რომლებიც „ჩასაფრებულია“ დევთა გამოქვაბულში, ულრან ტყეებსა თუ მოჯადოებულ ციხე-სიმაგრეებში. უმრავლეს შემთხვევაში ეს განსაცდელი გმირის მიერ უბედურებად ან კატასტროფად კი არ აღიქმება, არამედ უჩვეულო თავგადასავლად, რომელიც საინტერესოა არა მარტო მკითხველის, არამედ თავად გმირისთვისაც. ასე რომ, ავანტიურა, ისევე როგორც ავანტიურული დრო, სრულიად ახლებური ინტერპრეტაციით (ჯადოსნური უცემ ნიშნით აღბეჭდილი) წარმოგვიდგება, რომელიც სავსებით შეესაბამება იმ სამყაროს, რომლის ფარგლებშიც იგი მიედინება [გახტინი 2000: 81].

„სტატიკური პერსონაჟები“ დროის საპირისპირო, ე.წ. „სტატიკურ მოდელში“ ექცევიან, რომელთათვისაც დრო (ისევე როგორც სივრცე) ეტა-

პობრივად იცვლება, ვინაიდან მათი თავგადასავლის ყოველ კონკრეტულ საფეხურს მოცემული მომენტისათვის დამახასიათებელი დროის მოდელი განსაზღვრავს. დროით მანიპულირება ხორციელდება მწერლის ფანტაზიისა და უნარის შესაბამისად, ნაწარმოების კომპოზიციური და მხატვრული ქსოვილის თავისებურებათა გათვალისწინებით. იმავდროულად, რაინდული რომანების დრო ჰიპერბოლიზებულია: იწელება საათები, იკუმშება დღეები და წამები, თითქოს უცხო, მომაჯადოებელი ატმოსფერო, რომლითაც გაყლენთილია ამ რომანების სივრცე, ლიტერატურულ დროზეც ახდენს გავლენას [ბახტინი 200:83]. თუ ერთ შემთხვევაში დრო „შეეუძლი“ და ძალზე სწრაფი ტემპით მიედინება (რასაც განაპირობებს პროტაგონისტის ჩევლ გარემოში, ანუ საკუთარ სივრცეში ყოფნა), საზოგადოებიდან გამოყოფისა (სეპარაციის ფაზა) და ლიმინალურ ფაზაში გადანაცვლების შემდეგ დრო თითქოს იყინება, უამთა სვლა საერთოდ კარგავს აზრს, აგანტიურული დროის წამზომიც ჩერდება.

მოქმედების განვითარებასთან ერთად როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის პერსონაჟები ექცევიან სამყაროებს შორის ნაპრალში, აქ და იქ არსებულ ალტერნატიულ სტრუქტურებს შორის, შესაბამისად, მათი ინდივიდუალურობა სწორედ ამ „მისტიკური მოგზაურობის“, „ტრანზიტულობის“ ფონზე იკვეთება<sup>4</sup>. ვიდრე ორივე მოცემულ შემთხვევას ცალკ-ცალკე განვიხილავ-დეთ, უპრიანი იქნება შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: როგორია ის ოპოზიციური რეალობა (აქ/იქ), რომელიც დრო-სივრცულ განზომილებათა სრულიად სხვაგვარ ინტერაციულიას ითხოვს?

აქ, ანუ სენიორის კარზე, გამეფებულია სამართლიანობა და კურტუაზული მორალი, შესაბამისად, ამ სივრცით გარემოცული ინდივიდის ქცევა და ცხოვრების წესი მყაცრად არის მოწესრიგებული რაინდული კეთილშობილების კოდექსით. ეტიკეტურობა, საკარო ცხოვრების უმთავრესი ატრიბუტი, რომელიც თანამედროვე მკითხველმა შესაძლოა ფორმალობად და გადაჭარებად მიიჩნიოს, შუა საუკუნეების ადამიანის (ამ შემთხვევაში პერსონაჟის) დაცულობისა და კომფორტულობის საფუძველია. აქედან გამომდინარე, სოციუმი, რომელიც ეფუძნება ისეთ ცნებებს, როგორებიცაა მოყვასის სიყვარული, სამართლიანობა, ერთგულება, თავდადება, სიქველე და სიუხვე, პერსონაჟის ჰარმონიული არსებობის მტკიცე გარანტიაა. შესაბამისად, ამ სოციუმის შემომსაზღვრელი სივრცული არეალიც პოზიტიური და კეთილგანწყობილია ინდივიდისადმი, განსხვავებით სხვისი სივრცისგან (იქ), ტყის გაუვალი გზისგან, რომელიც ნეიტრალურია და გმირის მიმართ უველთვის მტრულად განწყობილი. როგორც ვხედავთ, სივრცე ამ რომანებში არა მარტო ტოპოგრაფიულ, არამედ მორალურ ცნებადაც გვევლინება და საგსებით ბუნებრივია, რომ ეს ფაქტორი ინდივიდს თავისი სოციუმის მიმართ გარკვეულ მორალურ ვალდებულებებს აკისრებს (რაინ-

4 მედიევისტიკაში შენიშვნულია, რომ რაინდული რობანის მთავარ გმირთა ინდივიდუალური მხატვრული სახეების კონსტრუირებისთვის უმთავრესი კომპონენტებია სწორედ სუბიექტი-ვიზიონებული მხატვრული დრო და მხატვრული სივრცე.

დფული კოდექსი, სიუზერენისათვის გაწეული სამსახურის აუცილებლობა, სამიჯნურო დავალების შესრულება და ა.შ.), აიძულებს მას, დროდადრო დატოვოს თავისი, კომფორტული სივრცე და სხვის სივრცეში გადაინაცვლოს, ან სასოწარკვეთილი და გახელებული გაეცალოს კაცთა სამყოფელს და ველად გაიჭრას.

ნარატივის ამ მონაკვეთში, ოომელიც რომანის მთავარი სივრცული დიქოტომიის – სასახლის კარი/ტყე – ფონზე ვითარდება, შეგვიძლია თვალი ვადევნოთ *Rites de Passage*-ის, ანუ ტრანზიტულობის სამივე ფაზას.

### გამოცალკევება, გამოყოფა, ანუ სეპარაცია

თავგადასავლის მაძიებელი რაინდი ტოვებს საკუთარ სივრცეს, ანუ ჩვეულ, მისთვის მახლობელ სოციუმს და უცწობ, ნეიტრალურ, უჩვეულო სივრცეში გადაინაცვლება. ავთანდილის შემთხვევაში ამ გადანაცვლებას, ერთი შეხედვით, კონკრეტული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოტივაცია განსაზღვრავს: „ცოტასა ხანსა გარჩივე გაჭრა სმასა და მღერასა, / პურად და საჭმლად მივენდევ ჩემსა მშვილდსა და ცერასა“ (167)<sup>5</sup>, თუმცა ტექსტში მკაფიოდაა ხაზგასმული გამგზავრების ჭეშმარიტი მიზანი – მიქრურის დავალების შესრულება<sup>6</sup> სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით („მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეერები შემეყარე“, 132). ამ პირობით ტოვებს ავთანდილი საკუთარ სივრცეს, მისთვის მახლობელ, ჩვეულ სოციუმს და უცხო მოყმის საძეგად გამგზავრებული გადალახავს საზღვარს ამ და სხვა რეალობას შორის. ტექსტის ამ მონაკვეთში კარგად იკვეთება ორი ალტერნატიული სივრცისთვის დამახასიათებელი დიქოტომია: არაბეთი (საკუთარი სივრცე) / საზღვრისიქითა არე (სხვისი სივრცე)<sup>7</sup>; სასახლის კარის გართობა-სიამენი (სმა და მღერა) / უცხო გარემოში ხეტიალი (გაჭრა); სასახლის კარის ნუგბარი / ნადირობით, ანუ მშვილდით მოპოვებული სარჩო-საბადებელი. ინდივიდის ამ მდგომარეობას, რომელსაც სიტყვა ლარიბობა შეესაბამება, თან სდევს მიუსაფრობის („საჭმე რამე მიც თავისა ზე სადმე გარდსახვეწელი“, 168), მარტოობისა („დავუო მარტოდ და ლარიბად... ესე წლეული მე წელი“, 168) და განწირულობის („ლარიბი მოვკვდე ლარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან“, 804) განცდა.<sup>8</sup>

5 ტექსტს ჭველა შემთხვევაში ვიმოწმებთ: რუსთაველი შოთა. ვეფხის ტეაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, „მეცნიერება“, 1966.

6 „პროველ, ერთ გარ, წასლვა მინდა პატრონისა სამსახურად, – /ხამს მეფეთა ერთგულობა, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“ (155).

7 „დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა“ (179).

8 შდრ. ანონმი ინგლისელი ავტორის რომანიდ სერ გოვერი და მწვანე რაინდი ზემოთ მოყვანილი კონტრასტი შედაგნება შიდა და გარე სამყაროთა დაპირისპირებით. არტურის კარს, სადაც ყოველწლიური ზამთრის დღესასწაულისთვის ემზადებან, ენაცვლება თოვლიანი და ყინვიანი გზა, რომელსაც სერ გოვერი მარტოდმარტო მიუყვება. მოულოდნელი არაა, რომ ხეტიალით მომლიობს, მიუსაფრობის, გარდაუგალი სიკვდილის მწარე მოლოდინით შეკურობილს უცნობი ციხე-სიმაგრის დანახვა, სადაც დიდი პატივით მიიღებან და კომფორტულად მოასვენებენ, რაინდს კამელოტის ილუზიას აღუძრავს.

ბ) სატრფოს დაკარგვით სასოწარკვეთილი, გაშმაგებული და გახელებული ტარიელი ველად გაიჭრება, რათა „ქაცრიელთა თემთაგან“ განშორებული განმარტოვდეს, საკუთარ ფიქრებში ჩაიძიროს და ტირილით და „თავთა ცემით“ დაელოდოს სიკვდილს. საკურადღებოა, რომ ტარიელის სიტყვებში – „მაგრა დავუარენ არენი მე ქაცრიელთა თემთანი; / სახლად საყოფნი მიმართდეს თხათა და მთათ ირემთანი. / გავიჭერ, სრულად დავტკეპნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“ (656) – იგივე სივრცული დიქოტომია ჩანს, რაც ავთანდილისეულ დეფინიციაში: ადამიანთა სამყოფელი / ცხოველთა „საუკუნი“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცივილიზებული გარემო/ველური ტყე. აქაც, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, ინდივიდი მარტოდმარტო დგას მოახლოებული განსაცდელის (სიკვდილის) წინაშე: „სიკვდილი მახლავს ხელ-ქმნილსა, სიცოცხლე არის წამისად“ (886).

კრეტიენ დე ტრუას რომანში „იგენი, ანუ ლომის რაინდი“, უფრო სწორად, მის პირველ ნაწილში, რომელსაც პირობითად „მცირე რომანი“ შეგვიძლია გუშვიდოთ, საკუთარ სივრცეს – არტურის კარს – ჩაენაცვლება ახალი სივრცე – ივენის მომავალი მეუღლის, ლოდინას, ციხესიმაგრე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არის ერთგვარი გაუყოფილი სამყარო<sup>9</sup>, ის პერსონაჟისთვის ალტერნატიული სივრცე მაინც ვერ გახდება. ლოდინას კოშკი ტყის შუაგულში დგას და დამუშავებული მინდვრებით არის გარშემორტყმული; იქ დახვეწილ კერძებს მიირთმევნ და საკარო ეტიკეტს განუხრელად იცავენ. ასე რომ, ეს სივრცე, მართალია, ივენისთვის ახალი და უცხოა, მაგრამ მაინც საკუთარია ორი ასპექტის გათვალისწინებით: ა) არტურის კარის მსგავსად, აქ გამეცებული სოციალური წესრიგი ემყარება სამ ძირითად პრინციპს: სიმკაცრეს, კულტურას, კურტუაზულობას; ბ) ლოდინაზე დაქორწინების შემდეგ ივენი ხდება წყაროს მცველი, შესაბამისად კი, ციხესიმაგრის პატრიონი და ლოდინას ვასალების უზენაესი სიუზერები.

მას შემდეგ, რაც ივენი არ შეასრულებს ცოლისთვის მიცემულ პირობას და მისი დაკარგვით სასოწარკვეთილი და გახელებული ულრან ტყეში გაიჭრება, რაინდის იერსახის დაკარგვასთან ერთად ის წყვეტს ყოველგვარ დამაკავშირებელ ძაფს თავის სოციუმთან, შესაბამისად კი, თავის სივრცესთან. იმ გარემოში, რომელშიც გაველურებულ ივენს (ტყის კაცს) უწევს უოფნა, მთლიანად უგულებელყოფილია საკარო ცივილიზაციისთვის დამახასიათებელი პრინციპები. ტექსტის ამ მონაკვეთში ოპოზიცია ჩანს რამდენიმე მიმართულებით: საკარო ცივილიზაცია / ბუნება; ციხესიმაგრის მიმდებარე ტყე (ჩვენი წარმოდგენით პარკი) / უკაცრიელი, ველური ტყე; სიშიშვლე/ტანისამოსი; უმი საკვები / მომზადებული კერძი; ეტიკეტურობა/იმპულსური ქცევა<sup>10</sup>. ივენი ტოვებს ორგანზებულ საზოგადოებას თავისი ეკონომიკური სისტემით (ლობით შემოსაზღვრული მინდვრები და ბალები), უარს ამბობს

9 შეიზარდის უმთავრესი აზრიბუტი, კადონსური წყარო, მედიევსისტიკაში ერთდროულად ორი ასპექტით – სამოთხებრივით და ჯოგოხეთურით განიხილება [ლე გოფი 1992:122].

10 შესაბამისად, ცნება კულტურა აქ ჩანაცვლებულია საპირისპირო ცნებით – ველური.

დიდი ხნის წინ არჩეულ ცხოვრების წესზე (კარვები, სახლები, სამხედრო ბანაკები) და მიწათმოქმედების სანაცვლოდ უპირატესობას მშვილდ-ისრით ნადირობას ანიჭებს.

### მარგინალობა, ანუ ლიმინალობა:

ინდივიდის დროებითი გამოყოფა გამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურისგან ანიჭებს მას არა მხოლოდ ამბივალენტურ სოციალურ სტატუსს, არამედ ათავისუფლებს ნებისმიერი კანონის, ქცევის ნორმისა თუ წესისგან. ლიმინალური ფაზის პირობებში, – წერს ტერნერი, – ინდივიდი არც „აქეთ“ არის და აღარც „იქით“. ის იმყოფება იურიდიულად, ტრადიციულად, კონვენციურად და ცერემონიულად დაფენილ პოზიციებს „შორის“. შესაბამისად, შექრებულია ინდივიდის როგორც „წინარე“, ისე „მომდევნო“ სტატუსის მოქმედება; ინდივიდი გარიყულის, განუსაზღვრელის პოზიციაშია, რეკონსტრუირებული და განახლებული კულტურული მოდელებისა და პარადიგმების განხორციელების მოლოდინის კონდიციაში. შესაბამისად, თუ რეალურად არსებული სამყარო პრელიმინალური კონდიციის მოცემულ პირობას წარმოადგენს, ანუ იწვევს ინდივიდის გამოცალევებას მისი გამყარებული სტრუქტურებისგან, ალტერნატიული სამყარო პოსტლიმინალური კონდიციის რეზულტატია, სტრუქტურა, რომელიც ტრანსფორმაციის შედეგად კალიბდება. რაც შეეხება ლიმინალურ ფაზას, იგი კონცეპტუალურადაც და სტრუქტურულადაც შეესაბამება ტანჯვის, რწმენისა და სიკვდილის იმ სილრმისეულ ფაზებს, რომლებიც ერთგვარი სატრანზიტო დერეფნის, მაკავშირებელი რგოლის, ფასეული მიზნის როლს ასრულებენ „ამ“ და „სხვა“ სამყაროებს შორის [რატიანი 2005:164-165].

ა) როდესაც თავგადასავლის მაძიებელი რაინდი გადალახავს საზღვარს ამ და სხვა რეალობას შორის და შუალედურ, ამბივალენტურ სოციალურ ზონაში (ჟაკ ლე გოფის ტერმინოლოგიით, არავის მიწაზე) აღმოჩნდება, იგი მთელი სიმძაფრით შეიგრძნობს იმ „სიამეთა“ დანაკლისს, რომლებიც თავის სივრცეში დატოვა. ავთანდილის შემთხვევაში ესენია: სატრფო (მზე) და წუთისოფლის „ლხინი“, მეტაფორულად გამოხატული ჩანგით, ბარბითითა და ნათი. ტექსტში ხაზგასმითაა თქმული, რომ, როგორც ავთანდილისთვისაა უცხო ის ადგილები, რომელთა ფონზეც მისი თავგადასავალი იშლება, ისევე ავთანდილია უცხო ამ გარემოსთვის („უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა“, 181), არაბეთის ალტერნატიული სამყაროსთვის, რომელიც არის „უგემური, მქისი“, უკაცრიელი („თვე ერთსა კაცსა ვერ ნახავს, ვერას შვილსა ადამისასა“, 184) და ველური („მხეცნი იჯვნეს საშინელინი“, 195). ალტერნატიული რეალობის პერსპექტივა დამთრგუნველად მოქმედებს რაინდზე, საგონებელსა და ეჭვებში აგდებს მას<sup>11</sup>. იგი არ მიისწრაფვის ალტერნატი-

11 „ვა თუ საქმე გამიმულავნდეს! – კვლა ამისთვის გულ-მოშიშობს“ (186); „საგონებელი შეექმნა, დადგა საქმისა მრჩეველად“ (187).

ული დრო-სივრცული გარემოსკენ, როგორც ამას მოითხოვს ლიმინალობის თეორიის ლიტერატურული კონტაციები, რადგან ეს ახალი რეალობა მითვის თავსმოსვეულია და არა პირადი არჩევანით განპირობებული. მისი ლტოლვის პროექცია მიმართულია დრო-სივრცის ადაპტირებული მოდელი-სკენ, შესაბამისად, ის ეტაპები, რომლებიც უნდა დასძლიოს ლიმინალურ ფაზაში უნებლიერ გადანაცვლებულმა პერსონაჟმა, უკიდურესად მწვავდება. ესენია: ტანჯვა („...ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად“, 182), სიკვდილის ნატვრა („მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიშმართის დანასა“, 56) და რწმენის მეშვეობით „სურვილებზე“ გამარჯვება („კვლაცა იტყვის: „დათმობა სჭობს“, და თავსავე ეუბნების: / დღეთა მეტად ნუ მოჰკვდები, გული ჩემი ნუ დადნების, / ულმრთოდ ვერას ვერ მოვაწევ, ცრემლი ცუდად მედინების, / განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქმნების“, 191).

ბ) საკუთარი სივრციდან სხვის სივრცეში გადანაცვლება (გამოცალევება-სეპარაცია) ტარიელის შემთხვევაში გახელებასა და „ველად გაჭრას“, ანუ პერსონაჟის მძიმე სულიერ მდგომარეობას უკავშირდება. მიქნურის დაკარგვის შემდეგ გაშმაგებული რაინდი ბინას დევთა გამოქვაბულში დაიდებს და ერთგვარად ერწყმის ბუნებას („სახლად საყოფნი მიმართდეს თხა-თა და მთათ ირემთანი“, 656; „მას აქათ ვახლავ ნათირთა, თავსა მათებრვე მხსერები“, 660). „ცნობის გაშმაგებასთან“ ერთად სრულდება ტარიელის ხეტიალი ლინეარულ, შემოსაზღვრულ სივრცეში და გმირი გაუგებრობის, ბუნდოვანების, მოლოდინის ფაზაში გადაინაცვლებას. ტარიელის შემთხვევაში ალტერნატიული გარემო – დევთა გამოქვაბული – მისი პირადი არჩევანით განპირობებული ლიმინალური კონდიციის მატერიალური გამოხატულებაა. ბუნებრივია, საზღვარი ამ და სხვა რეალობათა შორის არ არის ოდენ ტოპოგრაფიული. ეს, პირველ ყოვლისა, ალტერნატიული ფსიქიური-მენტალური მდგომარეობაა, რომელიც ინდივიდს სრულიად სხვა განზომილებაში აქცევს. ვეფხისტყაოსნაში ამ ახალ რეალობას, გადმოცემულს სიტუათშეხამებით სოფლით გაღმა<sup>12</sup>, უპირისპირდება სოფელი – რეალური სამყაროს მოდელი. ტარიელი, რომელსაც ნესტან-დარეკანის დაკარგვის შემდგომ მოსძულდა ცრუ და მუხთალი წუთისოფელი, ჩქარობს მის დატოვებას, რადგან მიჯნურის (იდეალის) „მიხვდომა“, რაც აქ (ქვენა სოფელში) წარმოუდგენლად ეჩვენება, იქ (მუნ, ანუ ზენა სამყოფელში) არის შესაძლებელი. ბუნებრივია, რომ მოახლოებულ სიკვდილს ტარიელი ლხენად მიიჩნევს, რადგან „გაარმებულ სიცოცხლეზე“ მეტად საიქიოში ნესტანთან შეურის პერსპექტივა უფრო იზიდავს – „აქა გაყრილნი მიჯნური მუნამცა შევიყარენით, / მუნ ერთმანეთი კვლა ვნახეთ, კვლა რამე გავიხარენით“, 883<sup>13</sup>. შესაბამისად, გარდამავალი ზონა, რომელშიც ტარიელი ვე-

12 „საუკლონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჭა, / მას ალარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაებიჯა“ (285).

13 შდრ. ნესტან დარეკანის სიტუაციი: „მუნა გნახო, მადვე გსახო, გამინათლო გული ჩრდილი, / თუ სიცოცხლე მწარე მქონდა, სიკვდილიცა მქონდა ტკბილი!“ (1305)

ლად გაჭრის შემდეგ ექცევა და რომელიც საკმაოდ პირქუში და უსიხარულო დეკორის (ხევი, შამბარი, ტუე, ველი) ფონზე იშლება, ერთგვარი დამაკავ-შირებელი დერეფანია, მიქნაა ამქეუწიურობასა და მიღმა სამყაროს, ადა-მიანის თავისუფლების დამთრგუნველ სოფელსა და ნეტარების მიმმიჯებელ მარადიულ სამყოფელს შორის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ხელ-ქმნი-ლი“ ტარიელი, რომელიც უკვე შეიგრძნობს სიკვდილის სიახლოვეს („სიკვდი-ლი მახლავს“), საკუთარ თავს მიღმიერ სამყაროში უფრო აღიქვამს, ვიდრე ამქეუწიურ რეალობაში („დამშლიან ჩემნი კავშირი, შევჭრთვივარ სულთა სირასა“, 885; შდრ. ნესტან-დარეანის სიტყვები: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,/ ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;/ მომცეს ფრთხი და ავფრინდე, მივხვდე მას ჩემსა ნდო-მასა...“ 1304), მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ არის ის სამყარო (მუნ), რომელშიც ტარიელი „აქა გაყრილ მიკრუთან“ შეურას ლამობს.<sup>14</sup>

ლიმინალური რეალობის იმავე მოდელს ვაწყდებით ფრანგულ რაინდულ რომანშიც, კონკრეტულად, კრეტიენ დე ტრუას ივენში, რომლის კველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდი მთავარი პერსონაჟის გახელებაა. მას შემდეგ, რაც სასოწარკვეთილი და გაშმაგებული ივენი გადაკვეთს დამუშავებულ მინდვრებს და არტურის სამფლობელოს საზღვრებს გასცდება, მისი სიხე-ლე ლოკალიზდება ტეში, რომელიც გაცილებით უფრო კომპლექსური არ-ეალია (თავშესაფარი, თავგადასავლების ძიების, სინანულის ადგილი და ა.შ.), ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩეროს. ივენის რაინდობა აქ დროებით უკან იხევს და ასპარეზს „ველურ კაცს“, მონადირეს უთმობს. ტანსაცმელშემოძარცული გმირი კარგავს მეხსიერებას, ღამეს შიშველ მი-წაზე ათევს, უმი ნანადირევით იკვებება და ცხოველთა ტყავით იმოსება. აქ, ისევე როგორც ტარიელის შემთხვევაში, იკვრება ერთგვარი წრე „ადამიან-თა სამყაროსა“ და „ცხოველთა სამყაროს“ შორის [ლე გოფი 1992:110-111]. სტრუქტურული ანალიზის ტერმინს თუ გამოვიყენებთ, ინდივიდის ლიმინა-ლური კონდიციის ფონად გამოყენებულია ლოკალი, რომელიც არ არის ტყე ტრადიციული გაგებით, ვინაიდან ამ ერთი კონკრეტული ტექსტის ფარ-გლებშიც კი ტყე არსებობს მხოლოდ იმასთან მიმართებით, რაც რეალობა-ში ტყე არ არის.<sup>15</sup> აქ არ მოქმედებს საკარო ცივილიზაციისთვის დამახასი-ათებელი არც ერთი კანონი, მით უფრო არც რაინდული კეთილშობილების კოდექსი. ივენს, რომელმაც გაწვიტა უკველგვარი კაგშირი თავის წარსულ-თან, დაკარგული აქვს ცივილიზებული ადამიანისთვის აუცილებელი კველა

14 შდრ. ანტიტოპიური რომანი: „აქ არა! – ფიქრობს ცინცინატი – უნიჭო „აქ“, ბიჯშეუწებული და ჩაკეტილი მიჭრს და სულს მიხუთავს... იქ იგავმიუწვდომელი სიხარულით ანათებს ადა-მიანის მხერას; იქ თავისუფლად დადიან აქ ნაწარები აზირებულნი; იქ დრო სურვილისამებრ აეჭვობა, როგორც სახიანი ხალიჩა... იქ კველაფერი გაოცებს თავისი მომხიბვლელი თვალსა-ჩინოებით, სრულყოფილი მაღლიო“ [რატინი 2005:203].

15 შდრ. როგორც კი ივენი განიკურნება და რაინდის იერს დაიბრუნებს, იგი გაიხედავს ტყისკენ, რათა დარწმუნდეს, რომ უკან არავინ მოჰყვება, ე.ი. ტყე ტრანზიტულობის მომდევნო ფაზაში დასახლებლი ადგილი ხდება. „ქალის დანახვა აფიქრებინებს რაინდს, რომ სადღაც ახლოს ციხესიმაგრე უნდა იყოს. ე.ი. ტყე, ხეზილის ბალი, ციხესიმაგრე და ჭადოსნური წყარო არ არიან იზოლირებული ერთმანეთისგან“ [ლე გოფი 1992:121-123].

ატრიბუტი – სოციალური სტატუსი, სახლი, ქონება, სახელი, ტანისამოსი, იარაღ-საჭურველი, ცხერი და ა.შ., თუმცა ცივილიზებულიდან გარემოდან გელურ ადგილებში მისი წებაყოფლობითი გადაადგილების მიუხედავად, ივენი მაინც ტუის სტუმარია. გაველურებულიც კი, იგი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ იძულებულია, შიმშილი ველური ცხოველების უმი ხორცით მოიკლას და იმ ფაქტს შეეგუოს, რომ ტყეში გაჭრილს არ ექნება არც პური, არც ლვინო, არც მარილი, არც მაგიდის ხელსახოცი და ა.შ. (შდრ. ტარიელის სიტყვები: „ვჭამ, გლახ, მარტო ნადირისა მისგან ხორცსა მონატანსა“, 258). შესაბამისად, განუსაზღვრელობაში მყოფ პროტაგონისტს, რომლის „წინარე“ სტატუსის მოქმედება შეჩერებულია, „მომდევნო“ კი ჯერ არ ჩანს, „გადაადგილების“ კიდევ ერთი ფაზა ელის – დაბრუნება.

### 3. გაერთიანება, ანუ ინკორპორაცია

ა) როდესაც რაინდის ფათერაკებით აღსავსე გზა დასასრულს უახლოვდება, იგი თავის სივრცეს და თავის სოციუმს უბრუნდება. ვეფხისტყაოსნში ავთანდილის ჩვეულ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან გაერთიანება გულისხმობს იმ ჩაკეტილი წრის საწყის წერტილში დაბრუნებას, რომელშიც მას მთელი რომანის მანძილზე უწევს გადაადგილება. მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილი ყველაზე დინამიკურია ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებს შორის, ის მაინც ჩაკეტილ წრეში მოქმედებს, ვინაიდან კონკრეტული მიზნის არსებობა განმაპირობებელია ავთანდილის სივრცის შეზღუდულობისა და სასრულობისა. შესაბამისად, რაც არ უნდა დაშორდეს იგი თავისი სივრცის საწყის წერტილს, მას არც სურს და არც ხელეწიფება ამ ზღუდეების გარღვევა და უსასრულო სივრცეში გაჭრა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავთანდილის გზა გარკვეულწილად ლინეარულია – თინათინიდან თინათინისკენ – შესაბამისად, გზის დასასრული ჩვეულ გარემოსთან გაერთიანებას, ანუ ინკორპორაციას მოასწავებს, რომელიც სრული ანტიპოდია „მქისი, უგემური“ სამყაროსი. არაბეთში შემოქცეულ ავთანდილს ყველაფერი უწინდელივით ხვდება – „უხვე უხვი“ პურობა, „ძღვენის ძღვნობა“, იაგუნდის ჯამები და ლალის ჭიქები, მუტრიგბი და ოქროსა და თლილი ბალაზმის გორები, განსხვავება მხოლოდ მის მორალურ-ეთიკურ და სოციალურ სტატუსშია. თავისი ხანგრძლივი ხეტიალით მან ალასრულა ადამიანური ვალი, რასაც რაინდულ კოდექსთან ერთად ადამიანს საკუთარი სინდისიც კარნახობს და, რაც მთავარია, ეწია თავის საწადელს – როგორც რუსთველი ამბობს, „იგი მზე და ხელმწიფობა ასრე მიჰხვდა, ვითა ღირსა-ა“, 1532<sup>16</sup>.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ ავთანდილის მსგავსად ტარიელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოგზაურობს დაკარგული მიზურის საძებრად,

16 შდრ. ანტიუტოპიური რომანი, სადაც სივრცის წრიულობას განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა აქვს – „წრეში ჩაკეტილი პერსონაჟი-წრე ცდილობს დაიხსნას თავი, გაექცეს რეალობას, გადაინაცვლოს იმ სხვა, თავისუფალ სივრცეში, რომელიც წრის მიღმაა დარჩენილი“ [რატიანი 2005:249].

